19/02/2025

MES 8 25 0000170963

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 05.02.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16:44 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **დავით ტეფნაძე** - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
4. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
5. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
8. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
9. **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

10. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** –შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
13. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **ლალი ოდიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
2. **თამთა მოხევიშვილი -** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- მაკა ბერიძე - რექტორი;
- ცისკარა ზარანდია - პროგრამის ხელმძღვანელი;
- დავით ხობელია - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ლევან მიდოდაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
- ზვიად როგავა - პროგრამის ხელმძღვანელი;
- სოფო ჩქოფოია - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ალექსანდრე მღებრიშვილი - რექტორი;
- დავით კვერნაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
- მარიკა შერაზადიშვილი - სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- ენ ლისტრა (Enn Listra) (I)
- ნინო ფარსადანიშვილი (I)
- ეკატერინე ნაცვლიშვილი (I)

- ევგენია ბუსმაჩიუ (Eugenia Busmachiu) (II)
- ეკატერინა ზაქარაძე (II)
- გიგა ხოსიტაშვილი (II)
- გიგა თვაური (II)

აკრედიტაციის დებულების 27 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომა გახსნა და უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **თამარ ლომინაძემ.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (180 ECTS), "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (240 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო და სამაგსიტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღისწესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (180 ECTS), "საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (240 ECTS), "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო და სამაგსიტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა.

პირველი სკაითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის საბაკალავრო 180 კრედიტი, საჯარო მმართველობის საბაკალავრო 240 კრედიტი, ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო, ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180.

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240.

პროგრამა №3
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 180.

პროგრამა №4
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტმა, ენ ლისტრამ (Enn Listra), განაცხადა, რომ შეფასებული იყო ოთხი პროგრამა, კერძოდ, ორი „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო , „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. მისი თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი კონსტრუქციულ გარემოში 2024 წლის 22-23 ოქტომბერს გაიმართა. ასევე ვიზიტის პერიოდში შესაძლებლობა იყო ონლაინ ჩართვის. მან მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტს ვიზიტის ეფექტურად ორგანიზებისთვის. შეხვედრის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა უნივერსიტეტის მხარდამჭერ ყველა დაინტერესებულ მხარეს. მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აუდიტორიების, ბიბლიოთეკებისა და ა.შ. ადგილების დათვალიერება. ენ ლისტრამ (Enn Listra), განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო დაწესებულებისაგან ყველა შეკითხვაზე პასუხი. რაც შეეხება უშუალოდ მიგნებებს, ისინი დეტალურად მოცემულია დასკვნაში. მან ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებზე და აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება არის საკმაოდ ძლიერი უნივერსიტეტში, განსაკუთრებით „ჰორიზონტის ოფისი“, რომელიც მაქსიმალურად უწყობს ხელს ინტერდასავლეთიზაციის პროცესს, დაფინანსების სხვადასხვა სქემების შეთავაზებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უნივერსიტეტი საკმაოდ ბევრს მუშაობს რეგიონში მცხოვრები უმცირესობების საგანმანათლებლო პროცესებში ჩართვაზე. მან განაცხადა, რომ ბიბლიოთეკაში სტუდენტებისთვის არის ძალიან მყუდრო გარემო, თუმცა არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებზეც უნივერსიტეტმა უნდა გაამახვილოს ყურადღება. მაგალითად, გადასახედია მიზნებსა და სწავლის შედეგებთან დაკავშირებული საკითხები. ასევე მეტი ყურადღებაა საჭირო ისეთ დეტალებზე, რომლებიც ეხება უნივერსიტეტის დოკუმენტებს, რადგან მათი გამართულობა როგორც სტუდენტს, ისე პროფესორ-მასწავლებელს უკეთესად მუშაობაში დაეხმარება. ასევე კარგი იქნება თუ სტუდენტს ექნება არჩევითი საგნების მრავალფეროვანი არჩევანი. ამან შეიძლება გაზარდოს სტუდენტების კმაყოფილება სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უნდა დაფიქრდეს მიზნებისა და სწავლის შედეგების ნაწილის გადახედვაზე „საჯარო მმართველობის“ 180 და 240 კრედიტიან პროგრამაში. მათი შედეგები იდენტურია, თუმცა შინაარსი ერთმანეთისგან განსხვავდება. ამრიგად, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები უმეტეს შემთხვევაში შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მიზნებისა და სწავლის შედეგების ნაწილში შეფასება „მეტწილად შესაბამისობაა“, რადგან ამ საკითხზე დაწესებულებამ მეტად უნდა იმუშაოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, მაკა ბერიძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ექსპერტთა ჯგუფის მიმართ იყო კეთილგანწყობილი და მზად იყო მოთხოვნის შემთხვევაში ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარედგინა. უნივერსიტეტი თითოეულ დეტალს დიდ ყურადღებას უთმობს და ცდილობს ის უფრო მეტად განავითაროს. ინსტიტუცია დასკვნის თითოეულ პუნქტს გაეცნო და მათზე იმსჯელა. მისი თქმით, ცალკეულ პროგრამებთან მიმართებით სწავლის მიზნებთან და შედეგებთან პრობლემა არ იკვეთება. „საჯარო მმართველობის“ 180 და 240 კრედიტიანი პროგრამების სწავლის შედეგები ცალ-ცალკე აბსოლუტურად გასაგებია. აქ კითხვა გააჩინა იმ ფაქტობრივმა გარემოებამ, თუ რატომ იყო 180 კრედიტიანი პროგრამის სწავლის შედეგები 240 კრედიტიანი პროგრამის იდენტური. უნივერსიტეტში „საჯარო მმართველობის“ პროგრამა უნიკალურია იმით, რომ ყველაზე დიდი მოთხოვნა ამ პროგრამაზეა. ყველასთვის ცნობილია, რომ 180 კრედიტიანი, ანუ სამ წლიანი პროგრამა უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისთვის სიახლეა. როდესაც უნივერსიტეტში მიდიოდა მსჯელობა იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რომელი პროგრამა უნდა გასულიყო რეაკრედიტაციაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული იყო საუნივერსიტეტო საზოგადოება პროფესორებისა და სტუდენტების სახით. დამსაქმებლებმა სამწლიანი პროგრამების არსებობას დაუჭირეს მხარი. სტუდენტთა შორის კი

აზრი გაიყო, ერთ ნაწილი სამწლიან პროგრამას, ხოლო მეორე ნაწილი კი, განსაკუთრებით მაღალკურსელები, ოთხწლიან პროგრამას უჭერდნენ მხარს. შესაბამისად, უნივერსიტეტმა სტუდენტთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვეტილება მიიღო, რომ ორივე პროგრამა წარედგინა რეაკრედიტაციაზე. მან აღნიშნა, რომ ეს პროგრამები ერთმანეთისგან იმით, განსხვავდებოდა, რომ 240 კრედიტიანი პროგრამის ფარგლებში დაწესებულება სტუდენტს აძლევდა დამატებით შესაძლებლობას, რომ აერჩია 60 კრედიტიანი პროგრამა. დაწესებულებას აქვს 60 კრედიტიანი აკრედიტებული პროგრამები სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, ინგლისურის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ეკოლოგიის, აგრონომიის, ისტორიის 60 კრედიტიანი პროგრამა. 60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია შექმნას მისთვის საინტერესო სასწავლო კურსთა ჯგუფი. დანარჩენი სტრუქტურა 180 და 240 კრედიტიანი პროგრამების აბსოლუტურად იდენტურია. მაკა ბერიძემ განაცხადა, რომ შეუძლებელი იქნებოდა სწავლის შედეგებში ყველა პროგრამის ჩამოწერა. ამიტომ დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 240 კრედიტიან პროგრამებში, რადგან ასეთია ექსპერტთა ჯგუფის რჩევა, შეტანილი იქნეს დამატებითი შედეგი, რათა სუტდენტმა 240 კრედიტიან პროგრამაში ცოდნა-გაცნობიერების ნაწილში მიიღოს დამატებით ცოდნა მის მიერ არჩეულ რომელიმე დამატებით პროგრამაზე. დანარჩენი ნაწილი ორივე პროგრამისა არის იდენტური, რადგან მსგავისა სასწავლო კურსები და მოცულობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ იმ მოცემულობაში, რომელიც დაწესებულებას ახლა აქვს, რთულია საჯარო მმართველობის პროგრამების განხორციელება, რადგან ისინი 0413-ის ქვეშ არის. შესაბამისად, მიზანშეწონილია საჯარო ფინანსებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის მენეჯმენტის საგნებს ჰქონდეთ წინაპირობა, რადგან არ შეიძლება სტუდენტს წინაპირობის გარეშე წაუკითხოს პროფესორმა „საჯარო ფინანსები“ მაშინ, როდესაც მას წარმოდგენა არ აქვს ფინანსებზე. ასევე არ შეიძლება საზოგადოებრივი ურთიერთობის მენეჯმენტის წაკითხვა ისე, რომ ჯერ წაკითხული არ იყოს „მენეჯმენტის საფუძვლები“. მისი თქმით, ეს აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული დაწესებულების მიერ. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ, განაცხადა, რომ ის იზიარებდა გიორგი ღაღანიძის მოსაზრებას. მისი თქმით, თუ რომელიმე სასწავლო კურსით ვერ მიიღწევა შედეგი, მაშინ დაწესებულება აღნიშნულს გაიზიარებს. უნივერსიტეტი გაითვალისწინებს ყველა იმ რეკომენდაციას, რომელიც პროგრამების განვითარებას შეუწყობს ხელს. დაწესებულებას ჰყავს ისეთი აკადემიური პერსონალი, რომელიც გაგებით მოეკიდება ამ რეკომენდაციას. საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ, ბაზრის კვლევასა და საპროგნოზო მაჩვენებლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილია ორი ბიუჯეტი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებთან დაკავშირებით, კერძოდ, ოთხწლიან პროგრამებში არის საშუალოდ 15 სტუდენტი თითოეულ საფეხურზე, ხოლო სამწლიან პროგრამებში ეს რაოდენობა არის დაახლოებით გაშვიდმაგებული. დაწესებულება დაახლოებით 100 სტუდენტის ჩარიცხვას გეგმავს. დღევანდელი მდგომარეობით დაახლოებით 15-20 სტუდენტი არის კურსზე. მას აინტერესებდა, როგორ შეძლებდა დაწესებულება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტთა რაოდენობის გაზრდას. მისი თქმით, სტუდენტთა მიღების რაოდენობის მკვეთრად გაზრდა ფინანსურ მაჩვენებლებსა და დატვირთვებზეა გადანაწილებული. ის ფიქრობს, რომ ეს ნაწილი უნივერსიტეტის მხრიდან უნდა იყოს გადახედილი. გარდა ამისა, დაწესებულების კვლევაში, სადაც მოცემულია შრომის ბაზრის და დამსაქმებლების კვლევა, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მოთხოვნილ პროფესიებზე, დასაქმების სირთულეებზე, უნარ-ჩვევებზე, თუმცა რაოდენობრივ მაჩვენებლებზე მხოლოდ ერთი პასუხია, რომლის მიხედვით დამსაქმებლების 55% არ აპირებს დასაქმებულთა რიცხვის გაზრდას, ხოლო 45% აპირებს უმნიშვნელოდ. კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი კიდევ ერთხელ გადახედავს ამ პროცენტულ მაჩვენებლებს. მან განაცხადა, რომ იშვიათად უნახავს ისეთი ბიუჯეტი, სადაც დეტალურად ქნებოდა

ანაზღაურების მიხრი და კოეფიციენტები მოცემული. მან მადლობა გადაუხადა დაწესებულებას ბიუჯეტში ამ ინფორმაციის აღნიშვნისთვის. მისი თქმით, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაში მოცემულია პროგრამის ხელმძღვანელის ანაზღაურება, საათების რაოდენობა და ღირებულება. მას აინტერესებდა, საათობრივად ხდებოდა თუ არა პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირის ანაზღაურება. მაკა ბერიძემ განაცხადა, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებოდა „საჯარო მმართველობის“ და „ბიზნესის ადმინისტრირების“ რაოდენობრივი მაჩვენებელი. „საჯარო მმართველობის“ პროგრამაზე 100 მაჩვენებელი ბუნებრივია, რადგან კონსკურსზე 150-160 სტუდენტი ჰყავს დაწესებულებას, ხოლო 100-მდე სტუდენტს იღებს ყოველწლიურად. შესაბამისად, 80, 90, 100 სტუდენტის მიღება ჩვეულებრივი მოვლენაა საჯარო მმართველობის პროგრამისთვის. შედარებით განსხვავებული ვითარებაა „ბიზნესის ადმინისტრირების“ პროგრამაზე, სადაც სტუდენტთა მიღების რაოდენობის მაჩვენებელი ოცს უტოლდება. ბაზრის კვლევაში, რა თქმა უნდა, ეს ორი ნაწილი გამიჯნება. კლასტერი ერთია, თუმცა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და საჯარო მმართველობის პროგრამა რომ სხვა დასკვნას აჩვენებს მეორე. მისი თქმით, აკადემიური პერსონალის დატვირთვა არის ფიქსირებადი, ანუ ასისტენტ-პროფესორს, პროფესორს აქვს ფიქსირებული ხელფასი, მაგრამ ბიუჯეტში, ვინაიდან მათ აქვთ საკონტაქტო საათების კონკრეტული რაოდენობა, მასში შედის გარკვეულწილად მათი სამეცნიერო დატვირთვაც. პროგრამის ხელმძღვანელს დამატებით, ყოველთვიურად ეძლევა უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან თანხა, რომელიც არ არის მიბმული მის აკადემიურ შტატზე. ის მოწვეულია თანახელმძღვანელის რანგში. თუ ის ხელმძღვანელია, მას უნივერსიტეტი აძლევს ყოველთვიურ ანაზღაურებას. ცისკარა ზარანდიამ დაამატა, რომ ბიუჯეტში გარკვეული უზუსტობაა, კერძოდ, 36 თვე უნდა იყოს და 115 ლარი ყოველთვიური დანამატი. მისი თქმით, 675 საათი არის პროფესორების წლიური დატვირთვა პროგრამაზე. საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომები არ იყო ატვირთული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში და ვერ შეძლო გადახედვა. მისი თქმით, სწორია ის, რომ ხელმძღვანელის შერჩევა უნდა მოხდეს გარკვეული თემატიკების მიხედვით, რომელიც იქნება შესაბამისი დარგის სპეციალისტი. მას აინტერესებდა, რომელ დარგში უნდა ჰქონდეს პირს კვლევა ჩატარებული ხელმძღვანელად გახდომის მიზნით. ხშირ შემთხვევაში ერთი დარგის მიმართულება ბევრ სხვადასხვა ქვემიმართულებად იშლება. დაწესებულება სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების მიზნით იყენებს ჩიკაგოს სტილს და ყველა შემთხვევა არის ჩაშლილი იმის შესახებ თუ როგორ უთითებს სტუდენტი გამოყენებულ ლიტერატურას, თუმცა ეს ინფორმაცია რთულად იკითხება. მან განმარტა, რომ ბევრი სხვადასხვა წყარო არსებობს ორიგინალ დოკუმენტში და ყველას დებულებაში მითითება შეუძლებელია. სიტყვა „საჟურნალო სტატიები“ რამდენიმე ადგილას მეორდება. მას აინტერესებდა, რა იგულისხმებოდა მასში. ასევე სტუდენტისთვის პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში რა პასუხისმგებლობა იყო. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო მილაშვილმა, განაცხადა, რომ წლების მანძილზე უნივერსიტეტში მოქმედებს „Turnitin“-ის პროგრამა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პლაგიატის აღმოჩენის პრევენციისა და რეაგირების დოკუმენტი. მისი თქმით, პლაგიატის არცერთი პროცენტით დაშვება არ ხდება, თუმცა თუ 25% თანხვედრაა, მაშინ პლაგიატის კომისია ავტორს დაუბურნებს ნაშრომს გარკვეული მითითებებით. პლაგიატის შემთხვევა ჯერ არ დაფიქსირებულა, რადგან პლაგიატის პრევენციაზე დიდი ხანია მუშაობს დაწესებულება როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებთან. სასწავლო პროცესის დაწყების დღიდან სტუდენტი ეცნობა უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებს. პლაგიატთან დაკავშირებული საკითხი მოცემულია ისეთ სასწავლო კურსში, როგორიცაა „აკადემიური წერა“. ასევე კურიკულუმის გარეთ იმართება საინფორმაციო შეხვედრები პლაგიატის დეტექციასთან დაკავშირებით. ამჟამად სტუდენტს უფლება აქვს, რომ თავად შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატზე. ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ შეკითხვა ეხებოდა სხვა საკითხს, კერძოდ, სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკადემიური თაღლითობისთვის. მისი თქმით, დიდი ალბათობით

დაწესებულება „საჟურნალო სტატიებში“ სამეცნიერო სტატიებს გულისხმობს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო მილაშვილმა, დაადასტურა, რომ დაწესებულება „საჟურნალო სტატიებში“ სამეცნიერო სტატიებს გულისხმობდა. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტთან დაკავშირებით. მისი თქმით, საჯარო მმართველობის პროგრამაზე მეორე შედეგის შესაფასებლად ოთხი სასწავლო კურსი არის მითითებული, მათ შორის, ორი „საჯარო გამოსვლების თანამედროვე ტექნოლოგია“ და „მდგრადი განვითარება“ შეესაბამება გაცნობის დონეს. გარდა ამისა, მესამე სწავლის შედეგის შესაფასებლად მითითებულია სასწავლო კურსი, რომელიც არის ისევ გაცნობითი დონის, თუმცა ძირითადი სფეროს არჩევითი საგნების ბლოკიდან. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტური იყო სწავლის შედეგების შესაფასებლად გაცნობითი ხასიათის მქონე სასწავლო კურსები. ნინო მილაშვილმა განაცხადა, რომ სწავლის შედეგების შესაფასებლად ყველა სწავლის შედეგს იდენტიფიცირებული აქვს გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცებაში მონაწილე სასწავლო კურსები. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი ინფორმირებულია მაშინაც, როდესაც სწავლის შედეგის მიღწევა ხდება გაცნობა-გაღრმავების დონეზე. მისი თქმით, სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება განმტკიცებაში მონაწილე სასწავლო კურსებით. პროგრამაზე არის არა საკვალიფიკაციო ნაშრომი, არამედ პრაქტიკა. ექსპერტმა ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საუბარი პროგრამის ხელმძღვანელთან. მისი თქმით, ამ მიმართულებით რეკომენდაცია გაიცა, რომელიც 180 კრედიტიან პროგრამას ეხებოდა. რეკომენდებულია, რომ საბაკალავრო პროექტი, რომელიც არჩევითი სახით არის სტუდენტისთვის შეთავაზებული, გადატანილი იქნეს სავალდებულო საგნების ჩამონათვალში. პროგრამის ხელმძღვანელმა გამოთქვა სურვილი ამ შენიშვნების გათვალისწინების შესახებ, რაც მისასალმებელია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო მილაშვილმა, აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის დროს არ ყოფილა შენიშვნა საბაკალავრო ნაშრომის საკვალიფიკაციო ნაშრომით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. ექსპერტების შენიშვნა მხოლოდ პრაქტიკისათვის კრედიტების გაზრდას ეხებოდა. დაწესებულება რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულების საკითხს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:52
დასრულების დრო: 15:02

პროგრამა 1: საჯარო მმართველობის (180 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 2: საჯარო მმართველობის (240 კრედიტი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის" საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 3: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო (180 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

პროგრამა 4: ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი: სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის საკითხის განხილვა;

პროგრამა №1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413;

სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

პროგრამა №2
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება, 0413;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ (ებ) ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ (ებ) ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა ციური დურულმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, ევგენია ბუსმაჩიუ (Eugenia Busmachiu), მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. მისი თქმით, უნივერსიტეტი აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს. ამ პროგრამების ძლიერი მხარე ის არის, რომ საჯარო მმართველობის სფეროში პროფესონალ კადრებს ამზადებს. ასეთი შთაბეჭდილება ექსპერტებს კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს შეექმნათ. უნივერსიტეტს ჰყავს საკმაოდ ძლიერი მმართველი რგოლი. ორივე პროგრამის შემთხვევაში უნივერსიტეტი ორიენტირებულია საგანმანათლებლო ინოვაციებზე. აღსანიშნავია ის რეფორმები, რომლებიც დაწესებულებაში მიმდინარეობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით. დაწესებულება ყოველთვის ცდილობს, რომ მოქმედი პროგრამები საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს. ევგენია ბუსმაჩიუმ (Eugenia Busmachiu) განაცხადა, რომ პროგრამების გაუმჯობესების მიზნით გაიცა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები. მისი თქმით, უნივერსიტეტის საერთაშორისო აღიარებისთვის კარგი იქნება პერსონალის მონაწილეობა კონფერენციებში და საკუთარი ნაშრომებისრეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნება. მისი აზრით, საჭიროა ბიუჯეტის გაზრდა როგორც პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის, რათა მათ მეტად შეეწყოთ ხელი სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობაში მონაწილეობისთვის. ამრიგად, უნივერსიტეტი

ძალიან კარგად ფუნქციონირებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას კარგი მომავალი აქვს. ამას ადასტურებს არა მარტო ექსპერტთა ჯგუფი, არამედ დაინტერესებული მხარეები, რომლებიც ჩართული იყვნენ ინტერვიუების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან მიდოდაშვილი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულებას განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდა რიგ საკითხებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ინგლისური ენის კომპონენტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების კუთხით, 25 კრედიტი ეთმობა, რომელიც სტუდენტმა აუცილებლად უნდა გაიაროს. სასწავლო პროცესში გამოიყენება ისეთი ინგლისურენოვანი თანამედროვე ლიტერატურა, რომელიც გამოცემულია ევროკავშირის, UNDP-ის და USAID-ის დაფინანსებით. უნივერსიტეტი თანამშრომლობს წამყვან და აღიარებულ უნივერსიტეტების პერსონალთან, რომლის შესახებ თვითშეფასების ანგარიშში დაწვრილებით არის საუბარი. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის განვითარების მიზნით გაძლიერდა თანამშრომლობა საერთაშორისოდ აღიარებული დაწესებულებების პერსონალთან. მაგალითად, გდანსკის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის დეპარტმენტის პროფესორმა არკადიუს მოდრჟეჟევსკიმ, როგორც საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამაზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეულმა სპეციალისტმა, წაიკითხა სასწავლო კურსი "პოლიტიკის კომუნიკაციები". კაზიმირ დიდის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორმა ადამ იაკუზევიჩმა „ერასმუს +“ მობილობის პროგრამის ფარგლებში წაიკითხა ლექციები თემაზე "რელიგიის თავისუფლება ევროპაში". ასევე ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სკოლის ასისტენტ-მკვლევარმა ლუსი მინიკოზ ველანდმა სტუდენტებისათვის ჩაატარა მასტერკლასები თემაზე „ჰიბრიდული ომი“. მისი თქმით, ბოლო სამ წელიწადში საერთაშორისო მობილობის ფარგლებში ორი სტუდენტი იყო საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული. 12 აკადემიურმა და მოწვეულ პერსონალმა 2021 წლის შემდეგ მობილობით მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა გაცვლითი პროექტებში, მათ შორის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კუთხით. მისი თქმით, პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისათვის უზრუნველყოფილია წვდომის შესაძლებლობა საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე. პოსტსადოქტორო კვლევები ამ პროგრამის ფარგლებში პერსონალმა განახორციელა ისეთ უნივერსიტეტებში, როგორებიცაა ოპოლეს ტექნოლოგიურ უნივერსიტეტი, ვილნიუსის გედიმინოს ტექნიკურ უნივერსიტეტი, სლუპსკის, ბიდგოშჩის და სხვ. უნივერსიტეტები. 2020- 2023 წლებში, 3 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ხორციელდებოდა ჟან მონეს მოდული „აღმოაჩინე ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებაში“. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ჟან მონეს კათედრა, რომელიც დაფინანსებულია „ევროკომისიის“ მიერ. მასში ჩართულია როგორც პროგრამის პერსონალი, ისე ხელმძღვანელი. მისი თქმით, მიმდინარე, 2024 წლის ნოემბრის თვეში, გამოცხადდა კონკურსი ერასმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად, ტუშას (იტალია) უნივერსიტეტში, საჯარო მმართველობისა და სამართლის პროგრამების სტუდენტებისათვის. 2025 წლის გაზაფხულზე, შეთანხმების საფუძველზე, დაგეგმილია ორი აკადემიური პერსონალის (მათ შორის, საჯარო მმართველობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ერთ-ერთი ხელმძღვანელის) აკადემიური მობილობა სლუპსკის პომერანიის უნივერსიტეტში. შესაბამისად, ყოველივე ეს მოკლე ჩამონათვალი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტი სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს პასუხობს, თუმცა რეკომენდაციების შინაარსი უნივერსიტეტისთვის გასაგებია. ლევან მიდოდაშვილმა აკრედიტაციის საბჭოს თხოვნით მიმართა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია გადატანილი ყოფილიყო რჩევებში. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, დავით კვერნაძემ, სოციალური მექანიზმის გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სოციალური მხარდაჭერა სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც გამოიხატება

აკადემიური პერსონალის უწყვეტ სახელფასო ანაზღაურებაში. შესაბამისად, დაწესებულებისთვის საკუთარი სახელფასო პოლიტიკა მისასალმებელია. როდესაც უნივერსიტეტმა ავტორიზაცია გაიარა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საუკეთესო პრაქტიკად იქნა მიჩნეული დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხი. მისი თქმით, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსისა“ და „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოწესრიგების სფერო ერთმანეთისგან განსხვავდება. მაგალითად, შვებულების ანაზღაურების ნაწილში. უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული არაერთი სოციალური მხარდაჭერის მექანიზმი ასაკისა და გენდერული ბალანსის შესანარჩუნებლად. დაწესებულება თანამშრომლებს აძლევს ანაზღაურებად 183 დღეს დეკრეტული შვებულებისთვის, ხოლო მშობიარობის გართულებისა და ტყუპების ყოლის შემთხვევაში - ანაზღაურებად 200 დღეს. მისი თქმით, უნივერსიტეტში 4 წელია დამტკიცებულია სახელფასო დანამატის წესი, რაც გულისხმობს იმას, რომ აკადემიური პერსონალი კალენდარული წლის განმავლობაში იღებს სახელფასო დანამატს მის მიერ წინა წელს განხორციელებული აქტივობის მიხედვით. ეს აქტივობები შეიძლება იყოს სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების ან ზოგადად ინსტიტუციის განვითარებაზე ორიენტირებული ქმედებები, მათ შორის, მესამე მისიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. შესაბამისად სახელფასო დანამატის ოდენობა დამოკიდებულია პერსონალის დატვირთვაზე და ეს განსხვავდება თითოეულ პროფესორთან მიმართებით. ეს ნაწილიც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ საუკეთესო პრაქტიკად იქნა მიჩნეული. ასევე თუ თანამშრომელი არის ავად და ვერ ახერხებს დაწესებულებაში სიარულს, მას უნარჩუნდება სახელფასო ანაზღაურება და გაცდენილი პერიოდი ეთვლება საპატიოდ. ასევე ეძლევა მთლიანი თანამდებობრივი სარგო. საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ მიხედვით, 40 კალენდარული დღეა შრომისუუნარობის პერიოდი ან 60 დღე 6 თვის განმავლობაში. შესაბამისად, თუ თანამშრომელი ამ პერიოდში გადის მკურნალობას სტაციონარში ან ამბულატორიაში, მას თანამდებობრივი სარჩო უნარჩუნდება მთლიანად. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კორპორატიული დაზღვევა. დაწესებულებაში არსებობს დაზღვევის მექანიზმებიც და კორპორატიული დაზღვევაც. უნივერსიტეტი თანამშრომლებს სთავაზობს კორპორატიულ დაზღვევას და თითოეული თანამშრომელი გამოკითხულია იმის შესახებ თუ რომელ ორგანიზაციასთან დებს დაზღვევის ხელშეკრულებას. ამრიგად, ამ მიზნით ტარდება გამოკითხვა და ხმათა უმრავლესობის საფუძველზე შეირჩევა ის კომპანია, რომელიც მოემსახურება მთელი წლის განმავლობაში თანამშრომლებს. ეს არის სოციალური მხარდაჭერის ერთ-ერთი მექანიზმი. ლევან მიდოდაშვილმა განაცხადა, რომ პერსონალის სოციალური მხარდაჭერა მნიშვნელოვანი ასპექტია, თუმცა დღეს არსებული უმაღლესი განათლების დაფინანსების მექანიზმებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ფინანსური შემოსავალი არც თუ ისე მაღალია იმისთვის, რომ მნიშვნელოვნად შეცვალოს და გაზარდოს სოციალური მხარდაჭერა. უნივერსიტეტის სტუდენტების დიდი ნაწილი კონფლიქტის ზონასთან ახლოს მდებარე დასახლებიდანაა. შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა არც თუ ისე კარგია, გადასახადის გაზრდის შემთხვევაში შეიძლება სწავლის საფასურის გადახდა გაუჭირდეთ. სახელმწიფო კომისია მუშაობს უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალ პროექტზე და უნივერსიტეტი იმედოვნებს, რომ მისი მიღების შემთხვევაში მნიშვნელოვნად შეიცვლება მდგომარეობა. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალისა და სტუდენტების შიდა პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსება. მაგალითად, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში 20-ზე მეტი სტუდენტური და 10-ზე მეტი პერსონალის პროექტი დაფინანსდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება“. დასკვნის აღწერილობით ნაწილში

იკითხება, რომ ამ რეკომენდაციის გაცემა ძირითადად განპირობებული იყო იმით, რომ ქართულენოვან პროგრამებში შეთავაზებულ იქნა სასწავლო კურსები ინგლისურ ენაზე. მას აინტერესებდა, პროგრამის სწავლის ენიდან გამომდინარე რამდენად რელევანტური იყო ამ რეკომენდაციის გაცემა.საერთაშორისო ექსპერტმა, ევგენია ბუსმაჩიუმ (Eugenia Busmachiu) განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ძირითადი მიგნებები და შეფასებები ეფუძნებოდა ინტერვიუების დროს დასმულ შეკითხვებზე გაცემულ პასუხებს. მისი თქმით, საბაკალავრო პროგრამაზე საჭიროა მეტი საათები დაეთმოს ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებას. სამაგისტრო საფეხურზე ამ მხრივ პრობლემა არ დგას, რადგან პროგრამაზე ირიცხება B2 დონის ცოდნის მქონე სტუდენტი. ბიუჯეტის გაზრდასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია ეხებოდა მხოლოდ უნივერსიტეტის პოტენციალის გაუმჯობესებას. ასევე საჭიროა პერსონალს ჰქონდეს კარგი მხარდაჭერა რეფერირებად ჟურნალებში საკუთარი სტატიების გამოქვეყნების, რადგან უნივერსიტეტს აქვს ამის პოტენციალი. დიანა მჭედლიშვილის თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, რომ ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი უფრო მკაფიოდ იყოს გაწერილი სამაგისტრო პროგრამის მიზნებში“. აღწერილობით ნაწილში ექსპერტები საუბრობენ რეკომენდაციის გაცემის საფუძველზე, კერძოდ, საერთაშორისო პრაქტიკის და თანამშრომლობის გარეშე საჯარო მოხელეს არ ექნება შესაძლებლობა ფეხი აუწყოს თანამედროვე ტენდენციებს, ანუ საუბარია საერთაშორისო პრაქტიკების გამოყენებაზე პროგრამაში. დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციაში ვკითხულობთ, რომ პროგრამა სრულად არის თანხვედრაში საჯარო მმართველობის დარგობრივ დოკუმენტის მიზნებთან. ის ემყარება 2023 წლის „სიგმას“ პრინციპებს და ზოგადად საერთაშორისო პრაქტიკებს. მას აინტერესებდა, რა გახდა ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ევგენია ბუსმაჩიუმ (Eugenia Busmachiu) აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი შეესაბამება მინიმალურ სტანდარტებს. დაწესებულებაში არსებობს როგორც ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეები. ეს რეკომენდაცია დაიწერა ინტერნაციონალიზაციის უფრო მეტად მეტად გაუმჯობესების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფი არ შეეხო რეკომენდაციების ფორმულირებისას საუკეთესო პრაქტიკების ნაწილს, რადგან ნათელი იყო მათი აქტივობები ამ მიმართულებით. სტუდენტი-ექსპერტმა, გიგა თვაურმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არა მხოლოდ მინიმუმს, არამედ ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს. ვიზიტის დროს გამოიკვეთა ისეთი გამოსასწორებელი საკითხები, რომელთა აღმოფხვრაც უმოკლეს დროშია შესაძლებელი. ინგლისურ ენასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამის ნაწილში გასაძლიერებელია და უნივერსიტეტი ამ საკითხს ყურადღებით უნდა მოეკიდოს. საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან განაცხადა, რომ დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, კვლევისა და ინტერნაციონალიზაციის ბიუჯეტის გაზრდა: დამატებითი თანხების გამოყოფა სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის გასაძლიერებლად და ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევის მხარდასაჭერად.“ მისი თქმით, დაწესებულებას საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობა აქვს სამეცნიერო პროექტების დაფინანსების ნაწილში, კერძოდ, 12 სამეცნიერო პროექტი. რეალურად ამ მხრივ დაწესებულებას გადადგმული აქვს ნაბიჯები. მას აინტერესებდა, ყოფილა თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ სტუდენტს ან სამეცნიერო პერსონალს მოემართა დაწესებულებისთვის სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების მიზნით და უარი ეთქვა. დავით კვერნაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტებისა და პერსონალის ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსების სისტემა. ყოველწლიურად დაწესებულების მიერ ფინანსდება როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების მიერ წარმოდგენილი პროექტები. მაგალითად, 2024 წელს დაფინანსდა არაერთი სამეცნიერო პროექტი, მათ შორის, სტუდენტების პროექტები. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტების მიერ დაფუძნებული „დიმიტრი ყიფიანის საინიციატივო საზოგადოება“, რომელმაც 2024 წელს 12 პროექტი განახორციელა. დაფინანსების პროცედურა არის შემდეგი: ჯერ უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს პროექტების დაფინანსების შესახებ. შემდეგ პროფესორი/სტუდენტი

დადგენილ ვადაში წარმოადგენს პროექტს და ბოლოს სამუშაო ჯგუფი სწავლობს მას და ისე იღებს გადაწყვეტილებას დაფინანსებასთან დაკავშირებით. სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი გარდა იმისა, რომ ინსტიტუციურად აორგანიზებს აკადემიური პერსონალისთვის ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებს, ასევე სტუდენტებისთვის მესამე წელია საერთაშორისო კონფერენციას ატარებს. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი სამეცნიერო ღონისძიებებში ჩართვით დიდი აქტიურობით გამოირჩევა. ბევრი მათგანი აქვეყნებს ისეთ რეფერირებად ჟურნალებში, როგორებიცაა Web of Science-ი და SCOPUS-ი. დიანა მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ 4.1 ქვესტანდარტში მოცემულია ორი კლასტერული რეკომენდაცია, რომელიც პრაქტიკულად ერთი და იგივე შინაარსისაა. ერთ-ერთ მათგანში არის შემდეგი ჩანაწერი: „მსგავსი რეკომენდაციები წარსულშიც იყო გაცემული. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა 2015 წლიდან არსებობს, საკმარისი დრო იყო შესაბამისი აკადემიური პერსონალის დასაკომპლექტებლად.“ მას აინტერესებდა, რომელი საქმის წარმოების დროს იყო ასეთი რეკომენდაციები გაცემული და როგორ იქნა შესრულებული. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა, მარიკა შერაზადიშვილმა განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია უნივერსიტეტს არ ქონია. დაწესებულებას გასაუმჯობესებელ მხარეებში თავად ჰქონდა მითითებული, რომ ამ პროგრამებზე დოქტორის არჩევა იყო საჭირო. მისი თქმით, პერსონალის დიდი უმრავლესობა არის საჯარო მმართველობის ან მასთან რელევანტური დარგის დოქტორი, კერძოდ, 3 არის საჯარო მმართველობის დოქტორი, 2 სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, 2 პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, 8 სამართლის დოქტორი, 10 ეკონომიკის დოქტორი, 1 პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, დოქტორანტი, 1 სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი და 1 ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, დოქტორანტი. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ „0413.1.3 საჯარო მმართველობა“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განთავსებულია „04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი“ ფართო სფეროს, „041 ბიზნესი და ადმინისტრირება“ ვიწრო სფეროს „0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ დეტალურ სფეროს ქვეშ, დაწესებულებას მიაჩნია, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისობაშია რეკომენდაციით განსაზღვრულ მოთხოვნასთან. რაც შეეხება სამაგისტრო პროგრამას, ის ხორციელდება 16 აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, აქედან 10 პროფესორია, 2 ასოცირებული პროფესორი და 4 მოწვეული პერსონალი. პერსონალის დიდი უმრავლესობა არის საჯარო მმართველობის ან მასთან რელევანტური დარგის დოქტორი: 3 არის საჯარო მმართველობის დოქტორი, 1 სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, 5 სამართლის დოქტორი და 7 ეკონომიკის დოქტორი. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ყველა დოქტორის აკადემიური ხარისხის კვალიფიკაციის მფლობელია და უდგინდება საჯარო მმართველობის პროგრამების სასწავლო კურსების წაყვანის ან/და საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება. საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე 29 დოქტორის ხარისხის მქონე პირია, მათ შორის, 18 აფილირებული. სამაგისტრო პროგრამაზე კი 16 მაგისტრის ხარისხის მქონეა, მათ შორის, 6 აფილირებული. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ „საჯარო მმართველობა“ ინტერდისციპლინურია და მოიცავს არა მარტო ამ დარგის მიმართულებას, არამედ სამართალს, ეკონომიკას და ა.შ. მან კითხვით მიმართა ექსპერტებს ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, გამოწვევა იყო თუ არა დაწესებულებისთვის ეს საკითხი. ექსპერტმა ეკატერინე ზაქარაძემ ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით სრულად გაიზიარა და მოცემული რეკომენდაცია გადატანა რჩევებში. დიანა მჭედლიშვილის თქმით, ეს რეკომენდაცია საბოლოო დასკვნაში კვლავ რეკომენდაციების ჩამონათვალში იყო მოცემული. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს შეიძლება ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო. ეკატერინე ზაქარაძემ კლასტერულ რეკომენდაციებთან დაკავშირებულ შეკითხვასთან მიმართებით განაცხადა, რომ საკითხების დუბლირება მოხდა და ექსპერტებმა ამოიღეს რეკომენდაცია,

რომელიც ძირითადი სწავლის სფეროს საჯარო მმართველობის შესაბამისი დარგობრივი სპეციალობის მქონე ლექტორ-მასწავლებლების დამატებასთან დაკავშირებით იყო და დარჩა მხოლოდ ინდივიდულურ რეკომენდაციად. მას შემდეგ, როდესაც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ვიზიტი უნივერსიტეტში, პანელის წევრებმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან მოისმინა, რომ ეს იყო რჩევა და არა კლასტერული რეკომენდაცია. შესაბამისად, ამიტომ აისახა რეკომენდაციაში აღნიშნული ფრაზა. „საჯარო მმართველობა“ არის ისეთი ვიწრო სპეციფიკური მიმართულება, რომელსაც სჭირდება არა მხოლოდ პრაქტიკოსი, არამედ თეორეტიკოსი სპეციალისტები. მისი თქმით, პერსონალის CV-ების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ოთხ ადამიანს უდასტურდება დოქტორის ხარისხი „საჯარო მმართველობაში“, ხოლო ერთს დოქტორის ხარისხი „პოლიტიკის მეცნიერებაში“. საბაკალავრო პროგრამაზე არის ერთი ადამიანი, რომელსაც დატვირთვა აქვს 0 საათი. მაგისტრატურაზე ფიქსირდება 2 ადამიანი, რომელსაც დატვირთვა აქვს 4 და 6 საათი. ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტს დროს დასვა კითხვები, თუმცა შესაბამისი პასუხი ვერ მიიღო. შესაბამისად, რეკომენდაციის სტატუსი უცვლელი დარჩა. ლევან მიდოდაშვილმა აღნიშნა, რომ პერსონალთან დაკავშირებული საკითხი ინსტიტუციამ განსაზღვრა, როგორც გასაუმჯობესებელი მხარე. შესაბამისად, ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია რჩევაში უნდა გადავიდეს. თუ ეს დარჩება როგორც რეკომენდაცია, მაშინ უნივერსიტეტს ძალიან მოკლე ვადაში მოუწვეს ცვლილებების განხორციელება. ამ რეკომენდაციის რჩევაში გადატანით კვალიფიციური პერსონალის შერჩევისათვის უნივერსიტეტს დიდი დრო ექნება. საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ პროგრამა კარგია. იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამები 0413-ის ქვეშაა, ისინი უნდა ფარავდეს მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულებას. შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურზე მარკეტინგის საფუძვლებში უნდა დაემატოს მარკეტინგის საფუძვლების ერთი კურსი. პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად როგავამ, განაცხადა, რომ იზიარებდა გიორგი ღაღანიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. მისი თქმით, დარგობრივი მახასიათებელი იმდენად შეზღუდულად არის დაწერილი, რომ პრაქტიკულად არჩევითი კურსების საშუალება აღარ რჩება. პროგრამაში არის „პოლიტიკური მარკეტინგის“ სასწავლო კურსი, რომელიც გარკვეულწილად ფარავს მარკეტინგის საკითხებს, თუმცა, რა თქმა უნდა, დაწესებულება ამ საკითხზე იმსჯელებს. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, 4.1 ქვესტანდარტში მოცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, საჯარო მმართველობის დარგთან რელევანტური დოქტორის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პერსონალის რაოდენობის გაზრდა“. მას აინტერესებდა, რა იყო ამ რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. ექსპერტმა ეკატერინე ზაქარაძემ განაცხადა, რომ ამ რეკომენდაციაში იგულისხმებოდა დარგის სპეციალისტების გაზრდა. საჯარო მმართველობა არის საკმაოდ სპეციფიკური და ვიწრო მიმართულება. შესაბამისად, პროგრამას სჭირდება როგორც თეორეტიკოსი, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტები. საერთაშორისო ექსპერტმა, ევგენია ბუსმაჩიუმ (Eugenia Busmachiu) დაამატა, რომ უნივერსიტეტს ჰყავს კვალიფიციური პერსონალი, მათ შორის, დოქტორის ხარისხის მქონე დარგის მიმართულების სპეციალისტები, მაგრამ პროგრესის მიზნით, სასურველია, რომ პროგრამის განხორციელებაში დაწესებულებამ ჩართოს ახალგაზრდა პერსონალი. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ, აღნიშნა, რომ თუ ყველაფერი შესაბამისობაში იყო ამ მხრივ უნივერსიტეტში, მაშინ რატომ გაიცა რეკომენდაცია ბუნდოვანია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:28
დასრულების დრო: 16:43

პროგრამა 1: საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო (240 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე.

პროგრამა 2: საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო (120 კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 5 თებერვლამდე.

ყველა საკითხის დასრულების შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 16:44 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ